



სათეატრო სალიტერ. ჟურნალი

№ 4 — 1917	წელ. მესამე	ფასი
კვირა იანვარი 22	გამოცემისა	15 კ.



აკაკი — ბავშვთა მოეუარული
გარდაცვალების ორი წლის თავი იანვრის 25

შინაარსი

- 1, მეთაური — ძმობა თუ მტრობა 2
- 2, ივ. გომართელი — ფაშალიშვილი 3
- 3, ილ. მოსაშვილი — ფარდი დამკენარი "
- 4, ვ. გუდიაშვილი — ქვრივის შვილი 5
- 6, სიო კალანდაძე — ის მიდიდა 7
- 7, ჰაზირა — ნაღდი ანუ აშუადობა 8
- 8, იპო ჯინორიძე — ვნახე 8
- 9, ბ. პელაშვილი — დღეს მე 9
- 10, თიანელი — თეატრი "
- 11, ვრ. საქარაძე — მოსე მწერალი 10
- 11, მიშო — სოფლის ვარაში (ფაფაზიანის პიესა) 12
- 12, გ. ჯაბაური — სხაღსო თეატრის ისტორია 13,
- 13, გლეხი დ სოლოლაშვილი — მოწოდები ნადგევი "
- 14, სახიობი, წვრილი ამბები. სურათები.

იანვრის 22

ძმობა ერთმა სულელმა ქაში ქვა ჩააგდო თუ ასმა ბრძენმა ვერ ამოიღო, რომ მტრობა? იტყვიან, სწორედ ამ ანდაზას მოგვაგონებს ზოგიერთ იმ ვერედ წოდებულ „საზოგადო მოღვაწის“ საქციელი, ჩვენს ძმურ-მეზობლურ ურთიერთობას რომ არღვევს.

განა წარსულ შავ დროებში ნაკლები ზიანი ენახეთ ურთიერთის კბენით, რომ კვლავაც ამ გვას დავადგეთ? რა მოხდა?

გაქირვებაში ჩაცვიფრულ ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართული საქველმოქმედო საზოგადოება მოღვაწეობს, დევნულ-შევიწროვებულთ მფარველობს, სკოლებს უხსნის, პურს არსობისას აწოდებს, და აქ თითო-ს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული ხელს უშლის, წინ ეღობება... იწერება წერილები და წარა-მარა წამოსროლილ სიტყვებით ლამის ძირი გამოუთხარონ იმ ერთობის შენობას, რომელიც ასე საჭიროა ყოველი მეზობლურად მცხოვრები ხალხის ბედნიერებისათვის...

შავ-ბნელ საუკუნეთა შემდეგ ძლივს დაკარგული ძმები გულს ჩავრქარით, ძლივს ძველი საქართველო ცნობიერდება, ძლივს სარწმუნოებით გამუსულმანებული, ხოლო გვარტომობით, სისხლხორციით და ენით ისევე ძველი მესხი, ძველი ნამდვილი ქართველის თესლი შემოგვცადადებს — გვიშველეთ, ჩვენ ხომ ერთი დედის შვილები ვიყავით, ისტორიულმა უკულმართობამ ჩამოგვაშორა თქვენს თავს, საერთო კერას, ხელი გამოგვიწოდეთ და ისევე აღვზდგებითო და — ამ დროს.. ზოგიერთი ვაჟბატონი გვეცილებს: ქართველი მჰმადიანები მუსულმანები არიანო, და მუნ ძმურ-მოყვასისებურ მოქმედებაში ხელს გვიშლიან!

აი შავი ძალა, შეითანისაგან წარმოშობილი, რომელიც ხელს უცარავს იმ მალაღობის განმტკიცებას, მაჰმადიანთა ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა, ბ-მა თოფჩიბაშევმა, აკაკის კუბოს წინაშე რომ წარმოსთქვა: „იხსოვრე და სხვადაც იხსოვრე!“

სწორედ ამ დებულებით ხელმძღვანე-

ლობდა ქართველი თავის ძველ ისტორიულ ცხოვრებაში. მას-კი არავინ ინდობდა...

და არც დღეს ინდობენ!

რა ვუყოთ, რომ დღეს აქარა-ქობულეთი და იმერხვე-შავშეთი, სამცხე-სააბაზგო, ეს დიდი აკვანი ჩვენი ბრწყინვალე წარსულისა, მთლად სამუსულმანო საქართველო მაჰმადის სჯულს აღიარებს? განა ეს ამტკიცებს, რომ იგინი ნამდვილი ქართველები არ არიან? განა დღეს მაინც სჯულს ეგოდენი დიდი მნიშვნელობა აქვს?

ასე რომ ყოფილიყო, ნეტარხსენებულ ი და დიდი სწავლული ჩვენი ანტონ კათალიკოსი კათოლიკობაზე გადასვლას ხომ არ ისურვებდა, ოღონდ ეროვნება დავიცვათო?

ვინ იცის, იქნება სხვა სჯული რომ მიგველო, დღეს ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი საჰო-არაო არა ყოფილიყო!..

ქართველი ვრი არასოდეს არ ყოფილა ვისიმე სჯულის შემავიწროვებელი, — სჯული, სარწმუნოება ხომ სინდისის საქმეა და ამასთან ჩვენ ხელი არასოდეს არა გვექონია, არც გვექნება.

განა ჩვენი დიდებული, მძლავრი და დღეს წმიდათა შორის შერიცხული, მეფე დავით აღმაშენებელი არ იყო სხვა სჯულის მეჩეთ-სამლოცველოებს რომ დიდის პატივით ეპყრობოდა, რასაც არაბთა მისისტორიეციკებით იხსენიებენ?

ღიად! ქართველი სხვის სჯულს არასდევნიდა, — საქართველოში კარგად თავსდებოდა სხვადასხვა სჯული, — სხვანი თუ გვაიწროვებდენ, ძალათი ანუ მლიქვნელობით უცხო ტიბიკონსა გვჩრიდენ ხელში და ჩვენს სულში ხელებს აფათურებდენ...

არც ჩვენ შეგვხებით ქართველ მუსულმანთა სჯულის საქმეს. სამაგიეროდ რომ იგინი ჩვენი ძმანი არიან და მათზე ზრუნვა მხოლოდ ჩვენი უდიდესი და უპირველესი ვალაა, ანაში ექვი ნურავის დაებადება და ვისაც ჩვენი ძმობა მეზობლობა გულის სიწმინდით უნდა — აქ ხელს არ შეგვიშლის, წინ არ გადაგვეღობება!

ქართული წიგნი, ქართული თეატრი, ქართული კულტურა, ქართული აზროვნება, — აი რა უნდა გავრცელდეს ქართველ მაჰმა-

დიანთა შორის ეს არის ჩენი რწმენა და ამაში პირველობას ვერაფერს დავუთმობთ, ვიდრე ჩენი მე, ჩენი თვითშეგნება გზას გვინათებს...

ეს იცოდეს ყველამ!

ვინ იცის, იქნება დრო მოვიდეს და თვითონ ჩვენც სჯული ვიცვალოთ, ოღონდ ჩენი ეროვნობა, საკუთარი სახე, ჩენი ვინაობა დავიცვათ!..

მაშ შორს ძმურ-მეზობლურ წმინდა წყლის ამღვრეველნი: რაც ჩენი ყოფილა— ჩენი უნდა იყოს და იქნუ მკიან, სად დასაბამიდან, შორეულ წარსულში არა უთესნიდათ რა!



ფაშალიშვილი

მაგრამ მე მხედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ, და მთ კეჟანს ვერა ვიშორებ.

ნ. ბარათაშვილი.

არის პოეტი, რომლის სახეც თქვენთვის პირველ ლექსიდანვე ნათელია. ის მალე ჰპოებს თავის ხედრს, მალე იკაფავს გზას და ამაშია მისი ბედი და უბედობაც: თუ ის დიდი ნიქია, მალე ხდება ხალხის, საზოგადოების რჩეულად; თუ მისი ნიქი ზერელეა, პირველ გამოშუქების შემდეგ თანდათან ილღვა და ბოლოს სრულებით იძირება არარაობის, დავიწყების უფსკრულში.

არის პოეტი, რომლის სახეც დიდხანს რჩება გამოურკვეველი, ის დიდხანს არის დუღილში, გარკვეული პოეტის ჩამოყალიბების პროცესში მასში დიდხანს გრძელდება.

დამქანარი ვარდი

სისხლის ფერ მზის სხივთ დამიწვეს ვარდი... დამიქანეს ვარდი, — დამტოვეს ობლად... ოხ! რისთვის ნეტავ!... რისთვის მიყვარდი?... ოხ! რისთვის ვიყავ, ნეტავ, შენს მკობლად... უმთვარო ღამით დავიარბი, — და გეძებ ისევ... დაგეძებ მარად... ვაჰ, კვლავ ატყვია გულს იარები, — თუ ვერ გპოვებდი — მიყვარდი მა რად?! გველი წევს ვარდზე, — ვარდი ობლად სტირს. ტყვედ ქმნილმა სატრფომ ვით შემიყვაროს?! ცრემლით ვასველებ დამქანარ ვარდის ძირს, — იქნება ტურფაჟ ისევ იხაროს!..

ილ. მასაშვილი

შეიძლება, ასეთი ხანგრძლივი დუღილი მისთვის უფსკრულად გადიქცეს და შიგ ჩაიღუპოს, ხოლო თუ გამარჯვებული გამოვიდა, უსათუოდ ღრმა და მრავალფეროვანი იქნება. უკანასკნელთ რიგებს ეკუთვნის პოეტი ფაშალიშვილი.

აიღეთ გრიშაშვილი. მან მალე ჰპოვა თავისი ხედრი, მალე გაიკაფა გზა და მისი პოეზია თქვენთვის ღრმად ნათელია. გვაჩვენებს რომ არ წაიკითხოთ, ისეც იცნობთ იმის ლექსს. მასა აქვს არჩეული ვიწრო ფარგალი, ამ ფარგალში ის ძლიერია, როგორც კი გადასცილდება ამ ფარგალს, ის ნაძალადეგია, ულამაზო.

იგივე არ ითქმის ფაშალიშვილზე.

ფაშალიშვილს ერთი, ორი და რამოდენიმე ლექსით ვერ იცნობთ, რადგანაც მისი მუზა მრავალფეროვანია: ფაშალიშვილი ჯერ თვითონ ვერ იცნობს თავის თავს, ის გარკვეული, ჩამოყალიბებული პოეტი არ არის.

ვაქვს ენით რომა ვსთქვათ, ფაშალიშვილი „ფიქრისას აგებს უფრესსა“ მისი ბუნება ფიქრთა და გრძობათა თაიგულია და იმისდა მიხედვით, თუ როდის რა სქარბობს, პოეტი ხან მოღიმარია და ბრწყინვალე, ხან მოწყენილი და ცრემლთა მფრქვეველი.

სიცოცხლის საიდუმლოება, სულის უკვდავება — აი ერთერთი მთავარი საკითხი, რომელიც ამართულა პოეტის წინაშე და რომ-

ლის გადაქრას მოუთმენელათ ჰლამობს პოე-
ტის სული.

სად მოესუფლავართ, სად მივდივართ,
რა დაჯტოვეთ, წინ რა გვსჯდება?—
და ეს ცივი გამოცანა
ჩემში სშირად შეიძლება
ვერ ავსენი დღეგანდღამდე
და კვლავ გამოცანად მჩნება.

ნორჩი პოეტი სდგას უდიდესი საიდუმ-
ლოების წინაშე, მისი მოუსვენარი სული
ცდილობს ამ საიდუმლოების დახშული კარის
შეღებებს, რათა ახსნას აუხსნელი, იხილოს
უხილავი.

ძიების ბრძოლის დროს პოეტს ხშირათ
ეჭვი ეპარება. გაშლილი ფრთები ეკვეცება
და სასოწარკვეთილება იპყრობს მას, ის იტან-
ჯება...

იტანჯება,

მაგრამ არა მსუხრს, ცხოვრების ტლანქს ბედს
ქედმოსწით ვეფხვს სიტყვა მონისა!

დღე, ამგვარი ძიება ტანჯვა იყოს,—

ის მაინც ამ გზას ირჩევს და ამ გვა-
რათ საცხებით ღებულობს ცხოვრებას და
ტანჯვას, ერთად, რადგანაც.

ყოფნა უტანჯველად ხომ იგივე სიკვდილია,
აქ ფაშალიშვილი ჩვენს ახალგაზრდა
პოეტებში ყველაზე უფროა ვაჟას მიმღევი,
ვაჟას მოწაფე.

ჩემს წარმოდგენაში ვაჟა მეტათ დიდი,
მეტათ თავისებური პოეტია. გზაში რომ შე-
ხვდებოდით ვაჟას, თუ არ იცნობდით, ყუ-
რადღებდას არ მიაქცევდით: სრულებით უბრა-
ლო, ჩვეულებრივი ადამიანი, უბრალო ჩოხაში
გახვეული!

როდესაც გაიცნობდით, დარწმუნდებო-
დით რომ ჩვეულებრივ გარეგნობაში დიდი
და უქრობელი სულიერი ლამპარი ენთო.

სწორედ ამგვარივეა ვაჟას პოეზია.

პირველის შეხვედრაზე შეიძლება არც კი
მოახინოს თქვენზე შთაბეჭდილება მაგრამ
როდესაც კარგათ გაიცნობთ, დიდ ფიქრსა და
დიდ გრძობას უეჭველათ ნახავთ შიგ.

გონების ფიქრი სტანჯავდას,
გულს ტაცხდა სწავლავს ძლიერად
— აი ვაჟა!

და განა ყველა ჩვენი პოეტები არ
არიან ასეთები?.

არა—ზოგს ფიქრი ახასიათებს, ზოგს ცე-
ცხლი.

ილია მაგალითად ფიქრია, აკაკი
ცეცხლი.

ვაჟაში ორივე ჰარმონიულათ არის შეე-
რთებული.

ვაჟასა აქვს ერთი შესანიშნავი ლექსი:
„ჩემი ვედრება“, სადაც პოეტი ღმერთს შეს-
თხოვს:

ნუ დამასვენებ ნუხას ღრმს,
მამყოფე შეძრწუნებულად,
მხალათ მამინ ვარ ბედნიერად,
რცხა ვარ შეწუნებულად!

ტანჯვაში ბედნიერების ძიება, აი თვი-
სება ქართველი ადამიანისა, ქართული სუ-
ლისა.

ამ სულის ერთი საუკეთესო გამოჩე-
ტველი ვაჟა და მის გზას მისდევს ფაშალი-
შვილიც, როდესაც ამბობს:

მაგრამ ყოფნა უტანჯველად ხომ
იგივე სიკვდილია?

ფაშალიშვილის ფიქრსა და გრძობას განუ-
ყრელად თან დასდევს ერთგვარი სევდა, ერთ-
გვარი ნაღველი და მთელი პოეზია ახალგაზ-
რდა ხელოვანისა სევდიან სიმებზე არის
აწყობილი.

ნაღველად, ჩემო ნაღველად, სხსევე
სიცოცხლის გმობისა,
ამხნავი ხარ მუდმივად ჩემის ფიქრის
და გრძობისა.

შენ შემხედი უმობის რაყნაყნად და
ამეე თანამგზავრად,
ტრემლსა და ეკაღის სიფხვანს ფეხქვეშ
მიფენდი სტაფრად!

ჩვენი სამშობლო მზის ქვეყანაა, წარმტა-
ცი ბუნების ქვეყანა. აქ მზის სიცხოველედ და
ბუნების სილამაზე ადამიანს ათრობს, მაშნა-
დამე ცრემლებს, მწუხარებას ალაგი არ უნ-
და ჰქონდეს, აქ შეუწყვეტელი მხიარული
სიმღერა უნდა გაისმოდეს.

ნაცვლად ამისა ჩვენს პოეზიას განსაკუ-
თრებით სჩვევია ცრემლები

ჩვენი პოეზია მშვენიერი ტარიელია, რო-
მელსაც ცრემლი სდის შეუშრობელი.

ამის უმთავრესი მიზეზი ჩვენი ისტორიული ხვედრია.

მონის უღელქვეში ძნელია სიცილი.

ფაშალიშვილის სევდის ერთი მიზეზიც სწორეთ აქ არის:

ერის კენესა იქცა ჩემის სულის ქირად.

ფაშალიშვილი ნორჩი მგოსანია.

ყოველ მის მისწრაფებას, ყოველ მის ნაბიჯს სიკაბუკის ექვეები თან დასდევენ:

ვაჭ, თუ ბუნება მასტუფუდეს ჩემში

და გადმოცემა ვერ შეუძლფ მისი.

ფაშალიშვილის სევდის მეორე მიზეზი აქ უნდა ვეძიოთ. ეს მიზეზი დროებითაა წარმავალი.

ფაშალიშვილის შემოქმედებაში არის ფილოსოფიური მიდრეკელება; მის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს სამყაროს დასაბამი და დასასრული, არსების საიდუმლოება, სიცოცხლის მიზანი.

და ვეკაფინ ვერ გაიგებს საწუთრას

და უაფხის მიზნებს.

ფაშალიშვილს წინაწინვე შხამავს ის მოფიქრება, რომ ვეც ის გაიგებს საწუთროს ყოფნის მიზნებს, და იქ არის მესამე მიზეზი ფაშალიშვილის სევდისა.

პოეტის სევდას ყველგან თან დასდევს იმედის სხივი.

ხან მხიარულის ოცნებით

დავუღერა, ხან ნაღვლიანადა,

მაგკამ ოკსაჟ დრას ნახსაჟში

იმედსა ჟოესაჟ ვანადა

ერთ თავის ლექსში ფაშალიშვილი თვითონ ახსიათებს თავის შემოქმედებას-

რწმენა, იმედი, ტრფობა და გლოვა ჩემსა გრძნობაში გამოიქარგა:

საკმაო ტემპერამენტი, მოაუსვენარი ფიქრი, ძიების წყურვილი, მდიდარი გრძნობა ყველა თან ახლავს ახალგაზრდა მგოსანს, რომლის მომავალიც წინ არის.

სულ წინ ვისწრაფვი მარადის,

რამდენად შემწვეს ძაღა.

ახალგაზრდა მგოსანს ძალა შეწევს, მაგრამ იმის სევდაში დაკვირვებულ აღმიანი ბევრგან ამოიკითხავს დაუწერელ სტყუებს:

ფრთებს მიკვეტს, აღმაფრენას

ცხფრება ვოველდღიურა.

ფაშალიშვილი ჯერ მეტათ ნორჩი მგოსანია ის არ არის ჩამოყალიბებული, ჯერ ისევ დუღილშია. და აი ამ ხანაში მას სჭირდება ძლიერი დახმარება საზოგადოებისგან, რომ ის საკმაო მომზადებით შეიარაღდეს და შემდეგ ერთითა.სად დაუბრუნოს საზოგადოებას მისგან მიძღენილი.

ფაშალიშვილის უტყუარი ნიქია და თუ ის საფერისად ვერ გაიშალა, საზოგადოების ბრალი იქნება.

მიეცით ნიჭსა გზა ფართო!

ფ. შ. შვილი

ქვრივის შვილი

მოთხრობა ანდრე ტერიესი.

(ძღვანდ ვრიგოდ სერსეუჟიძის ხსოვნას.)

ქვრივ ჟაკობესგან დაქირავებული სახლი სადღურისაკენ მიმავალ ქუჩაზე იყო. ეს ვიწრო და ახალი შენობა იდგა ცალკე, ბოსტნების შორის, თლილი ქვისაგან აშენებული და წითელი კრამიტით დახურული.

ქვრივი ჟაკობე აქ დასახლდა თიბათვეში 1870 წ. ომის გამოცხადების დროს, მას შემდეგ, რაც მის უმცროსი შვილი არისტოდი გაწვეულ ჯართან ერთად ვერდენს გაემგზავრა. ქვრივმა ეს ბინა იმიტომ აირჩია, რომ რკინის გზის სადღურთან ყოფილიყო. ამ დედაკაცს ეგონა, ამნაირად ჩემ შვილთან უფრო ახლო ვიქნებიო და დაბრუნებისას ჩემს არისტოდს ორი ნაბიჯის გადადგმაც არ დასჭირდება ჩემს სანახავადო.

დედას არისტოდი ძალიან უყვარდა. მეორე მისი უფროსი შვილი პარიზში სცხოვრობდა, სადაც დედის დაუკითხავად ჯვარი დაიწვერა. ამის შემდეგ მიწერ-მოწერა დედა-შვილის შორის შესწყდა და ქვრივმა უმცროსი შვილი კიდევ უფრო ძალიან შეიყვარა.

საწყალი დედა თავის დასამშვიდებლად დრო-გამოშვებით წერილებს იღებდა თავის შვილისგან. მაგრამ მერე როცა გერმანელთ ჯარი შემოერთყა იმ მხარეს, სადაც მისი შვილი იმყოფებოდა, წერილი იშვიათად მოსდიოდა. ქვრივმა უკანასკნელი წერილი, მიიღო, მარიამობისთვის 30 დაწერილი. მერე არაფერი. სრული სიჩუმე ჩამოვარდა: არისტოდი მოპკლეს თუ ტყვედ წაიყვანეს სედანის ჩაბარების

დროს, ქვრივი ვერ გაიგო და ნამდვილ ცნობების მოკრებაც თავის შვილის შესახებ ვერ შესძლო. საწყალ დედას ფიქრიც კი ეძინებოდა არისტოლის სიკვდილიზე. ეგონა არისტოლი ვერმანის რომელსაღე სიმბარეში მოეწყვდიაო, საიდანაც წერილის მოწერა ვერ შეეძლო, მაგრამ როცა ეს საშინელი ომი გათავდებოდა, მოვალე და ამიტომ მუდამ თავის შვილის მოლოდინში იყო.

ზამთრის გრძელ თვეების შემდეგ, გაიგეს პარიზის სხვის ხელში გადასვლა და ქვრივის გულმა საიდუმლო იმედიანი ცემა დაიწყო. ტყვეები სამშობლოში დაბრუნდნენ. რადენიმე აქაური ახალგაზდაც. უკანასკნელი, თურმე, გაყვილებულნი, დალაღენი ძონძებში გახვეულნი სადგურზედ უნახავთ. მაგრამ, მიუხედავად გზაში გამოვლილ წვლებისა, მათი თვლები მხიარულად იყურებოდნენ თავიანთ ძვირფასს მამულის ნახვის გამო.

ჟაკობე მაშინვე გერმანიიდან ახლად მოსულლებთან მივიდოდა ხოლმე, სუყველას დაატკერდებოდა, ეკითხებოდა ყველას, ვინც კი ქალაქიდან მოდიოდა. მაგრამ მისთვის არავის შეეძლო ეთქვა რამე სანუგეშო არისტოდის შესახებ. უკანასკნელი სედანის ჩაბარების შემდეგ აღარ უნახავთ. ზოგი-კი, ქვრივის დესამშვიდებლად დაუმატებდა ხოლმე: ჯერ საქმე არ არის წაგებული. არისტოლი ალბად ბრუსის რომელსაღე ციხეში ზის და იქნარ მოხელეებისგან დაცინვას იტანსო.

ჟაკობემ ამაზე გერმანიაში წერილი გაგზავნა და უფრო დაიმედდა. ყოველ საღამოს თავის ახლ ბინის სასაღილოში ვახშამს აზადებდა, სუფრას შლიდა და არისტოდისათვის ძველ ღვინოს იშოვიდა ხოლმე: მერე უცდიდა, ცახცახებდა ყოველ მატარებლის ხმაზე და გულის ძვირით ყურს უგდებდა, მარტის წვიმის წინწყლებსა, ფანჯარის უშუებზე რომ წკაპა წკაპი გაჰქონდა.

ერთს წვიმიანს და ძალიან ბნელს ღამეს სტრასბურგიდან უკანასკნელი მატარებელი მოვიდა მესამე კლასის ვაგონიდან დიდის გაჭირვებით ჯარისკაცი გადმოდიდა, ახალგაზდა ჯარისკაცს ძლივს მოჰქონდა ფეხები და, უმეპველია, ძალიან დაღალული იყო. სადგურის მხეუტავ ღამეების სინათლეზე მისი გაყვითლებული სახე ჩანდა რადგანაც მას დღეს სიარული აღარ შეეძლო, ჰკითხა, სად არის სასტუმრო და ხალხმაც უჩვენა იქვე ახლო მდგომ სახლზე.

სხვა მგზავრებიც გაიფანტნენ წყვილად შისტუმროს სშოვრად. იმათი დაიარაღებული ფესები ტალახსა და ქუქუიან წყალში აქყაუნებდნენ, გაქირვების დროს შეხტებოდნენ, და ყოველ შეხტომაზე გვერდზე ჩამოკიდებულ რკინის ქუქკელებს ააქლარუნებდნენ ხოლმე. ახალგაზდა ჯარისკაცმა ბოლოს ღამის წყვილად ში ერთი განმარტოვებული სახლი შენიშნა, რომლის ფანჯარებში ღამეა ბმეუტავდა. ეს სახლი მას სასტუმრო ეგონა. ზღურბლს, როგორც იყო, მიუახლოვდა, სიბნელეში ზარის მავთულის სახელური იპოვა და უცბათ ჩამოსწია. განათებული ფანჯარა გაიღო, დედა კაცის თავი გამოჩნდა და აღელვებულმა ხმამ შეჰყვირა:

— ოჰ, ჩემო ძვირფასო შვილო მოხვედი! მერე დერეფანში აჩქარებული ნაბიჯები გაისმა, ურღული აიწია და განცვიფრებული ჯარისკაცი წარსდგა ერთი დედაბერის წინაშე, რომელმაც ღამეა ასწია, ჯარისკაცი გაკვირვები შეხედა და ყრუდ წაიბუტბუტა:

— ღმერთო ჩემო, ეს ის არ არის...
— მაპატიეთ, ქალბატონო, სთქვა ჯარისკაცი, თავის შეცდომას რომ მიხვდა: ვხედავ, რომ შევცდი... მითხრეს, სასტუმრო ახლო არისო და კარმა მომატყუა... ეხლა კი გავიგე, თქვენი სახლი ის არ არის, მე რომ ვეძდი, მაგრამ ეს ვარ დაღალული, რომ ღამის წავიქცე.


ჟაკობე ჯერ გაბეცდა, მაგრამ როცა კარგა დააკვირდა და გარჩია ჯარისკაცი, რომელიც იმდენივე ხნის იყო რამდენისაც არისტოლი, შეენანა ეს უმაწვილი კაცი, თვლებიღვტრემლები წამოსკდა და მიუგო:

— მობძანდით, მე არ ვიკადრებ, რომ ქრისტიანი კაცი ამისთანა ავდარში გარედ დარჩეს...

— ვინ იცის, იქნება ჩემი საწყალი აავშიც რომელსაღე უცნობ ქალაქში დაძრწის და თავშესაფარს ეძებს!— სთქვა ქვრივმა, ჯარისკაცი სახლში შეიყვანა, პარკი მოხსნა, ტირილით არისტოდისათვის დამზადებული ვახშამი მოუტანა და ამის შემდეგ გამოუცხადა ჩემი შვილი: ომში გავისტუმრე და დაიკარგო, როცა დაღალულმა ჯარისკაცმა ქამა გათავა, ქვრივმა შეამჩნია, რომ მის ეძინებოდა,

ამიტომ თავის შვილის სუფთა ოთახში შეიყვანა და იქ დააძინა.

მეორე დღეს დილით, როცა ყმაწვილი კაცი წასასვლელად მოემზადა, ქვრივმა კარგი საუზმე, მოუმზადა და არისტოდის ისტორიას მოუყვა.



(ნახატი ლ. გულიაშვილისა)


— უბედური ბაღლი! — ამოიხენწე მან: როგორ იტანჯება იქ, უცხოეთში! მაგრამ სანამდის ამას ვიამბობთ, უნდა გითხრათ, რომ თუმცა დიდი გაჭირება გამოვიარეთ, არისტოდის შაინც ვანგიბივრებდი. როცა გაემგზავრა ჩემის ხელით ლურჯი მატყლის ქუდი მოუქსოვე, ასე რომ კეთა და ყურები სიცივეში თბილად ექნება საცოდვაფი, ძალინ იტანჯება ნევრალგიით. ნეტავ-კი ზამთრის ცივ დამეებში ის ქუდი დაიხუროს ხოლმე.

ჯარის-კაცი აღარ სჭამდა, ლუკმა ყელზედ ადგებოდა. უცბად მოაგონდა: როცა სედანის მინდორზედ, მათ გერმანიელები გარს შემოერტყნენ და ჰყარაულობდენ, ამხანაგად ჰყავდა ერთი ახალგაზრდა ჯარის კაცი, არისტოდი წოდებული, რომელსაც მართლა ლურჯატყლის ქუდი ეხურა.

ამ უბედურობის დროს ამხანაგები სისაცილო ქუდის გამო დასცინოდენ მას და „პაწია ლურჯი“ დაარქვეს.

ერთს საღამოს „პაწია ლურჯი“ ალყიდან გაქცევას შეეცადა, მაგრამ ოცი ნაბიჯი ძლივს გადადგა რომ მას ყარაულმა თოფი ესროლა და იქვე მინდორზე დააწვინა. კეპკა მიწაზედ

გაგორდა, ხოლო სასაცილო ქუდიან ჯარისკაცს სული აღმოხდა



(ნახატი ლ. გულიაშვილისა)

ჯარის-კაცი ადგა, მადლობა გადაუხადა დააიმედა: ნუ გეფიქრება მართალია ჯერ კიდევ დრო გავა, არისტოდი უეჭველად დაბრუნდება!

მერე თავისი პარკი აიღო და წავიდა. როცა კარში გავიდა, მაგრა ჩაახველა და ცრემლიანი თვალები მოიწმინდა, მან კარგად იცოდა, რომ „პაწია ლურჯი“ აღარ დაბრუნდებოდა!

მახტანგ გულიაშვილი.



ის მიდიოდა

ის მიდიოდა, სტოვებდა ოჯახს, მოხუც დედ-მამას, ცრემლის მფრქვეველს, ის მიდიოდა... სტოვებდა ცოლ-შვილს, ისეც უკუღმართ ბედის მწყვეველს. სანამ თავს ადგა თვის ღარიბ კერას, დღიური შრომით ლუკმას აწვდიდა, როგორ ეფიქნა, ისეც ტანჯულ ბედს მტრობა და შური არ დააცილიდა! ის მიდიოდა... თუმც ვანახლების მაინც ბრწყინავდა იმედი მაში, მას სწამდა ბრძოლა სამართლიანი, სიმართლისათვის თვის ქვეყანაში. და თუ ოცნებას ფრთა შეეკვეცა, დროებამ დასცა ისარი გულში, მას სწამს აღსდგება სიმართლის ძალო, დღეს შელახული მტრობას და შურში.

სიო კალანდაძე

(სიო კალანდაძე)

ენახე.

შავ ძალათა ნატრეფალი.

ენახე ვარდთა ფურცლები, ძირს მიწაზე ეყარა; ელდა მეცა, გავშეშდი, გულზე შემომეყარა...

სიო ფურცლებს უნდობლად აქ თიქით აბნევდა, ვარდთა მიჯნურს ბულ ბლუსა გულზე ეკალს აბნევდა,

და სტიროდა მიდამო, ძირს სიცოცხლე ჰქრებოდა, შავი ქვეყნის დემონი თავმომწონედ დგებოდა..



პრაპ. პანომ იაგორის ძე ქორქაძე

ენახე შვების ქურუმნი ცხარე კრემლით დნბოდენ, დაშლილ ვარდთა მხერაზე უნუევეშოდ ჰკვდებოდენ.

მოკლეული იქმნა რუმინიაში გმირულ ბრძოლაში, გიორგობ. 17 (18 წლ ს იქნებოდა). წა დგენილია წმ. გიორგის საფიცრო ჯვარსა და ოქროს ხმალზე ცხენდარი გიდმოსვენეს და დაკრძალეს ს. ერხუბში (გურიაში) ქრისტემ. 11.

იპო ჯინორიძე

აშუღების ნაღლი ანუ მარაქა

ნაღლი აშუღობაში ვეგლახე სასარგებლო და საინტერესო იყო ხალხისთვის. სიტყვა ნაღლი ნაშნავს ზღაპარს. ეს ზღაპარი იყო მთლად გალექსილი, სხვა და სხვა ჭანგებით და სმებით შეკაზმული ზოეტაშუღებისაგან. ნაღლი ჭკვანდა სწორეთ ვიესას, აშუღება ნამდვილ არტიანტებს, თეატრი კი თბილისის ფეფაღის მთელნა ანუ ხოსროვის ქარვასლის გვირდსე ტარეილი ადგილი იყო კვირახობით აქიმარტებოდა წარმოდგენა დღით და საღიშ შექმდე. ვეგლახ გულის ფანტაზიით ელთდა კვირას დღეს, ვეგლახ ტრიფობდა, ღილით ადრე ამდგარეო, წისუღეო და კარკა მხხერსებუღი ადგილი ლეგირა. იმ აშუღურ ნისებში დრამატ იყო, კომედიანტ. ფოდვილიცაიყო. სასიამოვნო და ტკბილი ხმაღ-ჭანგებით იყო შექმეული, რომ კაცს არ მობებრდებოდა, თუ გინდ მთელი დღე მშვიტ-მწეურვანდი დარწინილიყო. აქ მსმენელი საზოგადოება გაიკებდა მთელ სადმერთო წერილს და სასარების სიტყვებს, კატომოფვარებობის, სხვადასხვა ერების ერთობას და სიუვარულს, დედამამის მონხაღებას, დეთის შიშსა, აზრებს, კაცის სირცხვილს, დაცემუღის დახმარებას და სს. *)

ეს მოძრავი თეატრი სოფელში და სხვა

და სხვა ქალაქებშიაც გადაჭქანდათ ხოდმე. აქ ხალხი ხშირად სიამოვნებდა, სუღით და გუღით სტკებობდა, და შინ რამ მივიდოდა თავის ოჯახობასაც უზიარებდა ნახუღსა და გაგანდის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაღლი ვოგლად სასარგებლო და ჩინებული რამ იყო, სომეხთა სასუღეორო წოდებამ დაიწყო ჩივილი და გადკეიდა აშუღებს: ლოდვასე შარ მოდანს, წირვას არ ესწრებოან, ხალხსა რევიანო და მთავრობასაც ეჭვა შეეპარა და მაშინვე აუკრძალა აშუღებს ის კეთილი სამსახური ხალხისა.

მას შემდეგ გულ-დაკოდელმა და სიამოვნებას მოკლებულმა ხალხმა დაიწყო ღოთობა და უომრის თამაშობა კვირა-დღეობით დიდიდან სადამოდე სმასა და უომრის თამაშობაში ატარებდა დრმს, სადამოხე მთვრალი და ვიბე ტარეილი შინ მიდიოდნენ, თავსა იფუჭებდენ, ცოდშვილსაც უმწარებდენ და აუბედურებდენ.

პანორა

*) ამას დამტკიცებს ჩემი ერთი ნაღლიდგან გადაკეთებული პიესა „აშუღი“, რომელიც გადავეცი გრიგოლ ყიფშიძეს გასაშინჯად, როდესაც მე „ივერიაში“ ვწეზავდი.



დღეს მე...

დღეს მე რითმებს ველარ მოვკრებ, ვერ ავკინძავ ლექსს საამურს,
 ვერ მოუხმობ ცის დიანას, ვერც ვენერას, ვერც ამურს.
 და ღვთიურსა, საგალობელს ველარ იტყვის ჩემი ენა...
 კვლავ სჩქევს სისხლი ნაკადულად, არ შემწყდარა ცრემლთა დენა!..
 ოჰ, დღეს ისევ ომის ღმერთი ზეიმს იხდის, მხიარულობს,
 ოჰ, დღეს ისევ ცხელი ტყვია დასრიალობს... დაზუზუნობს...
 კვნესის, გმინავს არე-მარე, თავს ევლება ტანჯვა სოფელს,
 და მოწყენილს ვხედავ ყველას, მწუხარების ჩამომთოველს!..
 საზეიმო საგალობელს დღეს ვერ იტყვის ჩემი ენა,—
 მოსჩქევს სისხლის ნაკადული, აღარ სწყდება ცრემლთა დენა...
 თავზე აწევს ტატნობს ნისლი, ცეცხლის კვამლი სივრცეს ჰფარავს,
 და სიღვდილი ცელ-გაწვდილი ჰკლავს სიცოცხლეს, ყოფნასა ზარავს!..

ბ. პელაშვილი

თეატრი

დღევანდელ ათას უბედურებასთან ერთად თეატრის დაკნინებაც ზედ დაგვერთო: არა გვყავს სათეატრო დარბაზი, აღარა გვავს ძალები და თუ არიან—მათი ღირსება უთეატროდ უმნიშვნელოა. თუმცა დრამატიული დასი მამართავს წარმოდგენებს ახალი „კლუბის სცენაზე“, სახალხო სახლში, მაგრამ ყოველთვის მოუშაადება და მუყაითობა აკლია. მიზეზი?—უბინაობა და სხვა.

ერთი დიდი უბედურებაც ის არის, რომ სათეატრალურ საქმე, როგორც პრესა, ეგრედ წოდებულ „პარტიებად“ დაიყო. მაგალითად, სახალხო სახლთან არსებულმა წარმოდგენების მმართველმა წრის გამგეობამ, თავისი პროგრამიდან გამორიცხა ისტორიული პიესები და შეიმუშავა ისეთი პატარა რეპერტუარი, რომელშიაც ერთი და იგივე პიესის გამეორება თვეში ორჯელ-სამჯერ უხდება. დამსწრე ხალხი კმაყოფილია ამით თუ არა, ამას ვერ ვიტყვი, მხოლოდ თვით სცენის მოყვარებებშიც რომ უკმაყოფილებას იწვევს, ეს კი ცხადია. ეს თვალსაჩინო ნაკლია გამგეობისა, მეტადრე ესლა, როდესაც დრამატიული დასი უთეატრობით უმოქმედო ასპარეზზე გაცივებული. საშუაებითა აგრეთვე ქ. ანკარასი, ბ. მეტრეველის და მოკარნახე თუშმელაშვილის სცენიდან ჩამოშორება, რომელთა როლის აღმსრულებელი ჯერ არავინა ჰყავთ. ვინ უნდა დაავიკრავინოს „ქრისტინეს“ როლი, თუ არა ქ. ანკარამ? ვინ უნდა გვაჩვენოს სცენაზე ნიქი ახალგაზრდათა სიმპატიურ როლებში თუ

არა მ. მეტრეველმა, მაგრამ გამგეობამ ყველაფერ ამას ანგარიში არ გაუწია და ცოტად თუ ბევრად ძველი პირობების გაუმჯობესებას მაგიერ მათგან ისევ სცენის დატოვება ირჩია.

ყურადღება არა აქვს მიქცეული სახალხო წარმოდგენებზე „უპატენტო“ მოვაჭრეთაც, რომელნიც ორ-სამ შაურიან ბილეთებში მანეთსა და ორ მანეთს ახდევინებენ. სასტიკი ყურადღება უნდა მიექცეს ყველა ამას და ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს.

ბოლოს სცენის მოყვარეთა საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ მათი ამპარტავენობა, შური და მტრობა წინაღმდეგია წმიდნა სასწაულ სელოვნებისა.

ძირს „პარტიობა“—გზა მიეცით თავისუფალ სელოვნებას.

თიანელი



კალისტრატე ჩიქოვანი

სად. ნოვავის უფროსი. უსამართლობის მსხვერპლი შეიქმნა და თავი ჩამოიხრჩო. ხალხში მწიგნობრობის გამავრცელებელი იყო,

მოსემწერალი

პიესა 4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან
ეგ. ნინო შვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული გრ. საქარიქედელის მიერ
ვაგრაქედება, იხ. 1917 წ. თ. და ც. 3)

VI

იგინივე, ორი გლეხი

სოფონა გერია ბაბალესიო რას იტყვით „ბატიუჟა“?

მწერ. თქვენ ვინ დაგიბარათ.

ათან. (გაოცებით) მე... მე მიმიცია ყალბი მოწმობა... არა, ტყუილია...

I გლეხი ჩვენ ხალხმა ამოგვიჩინა, ბატონთან გვაქვს მოსახსენებელი სიტყვა.

გამომძ. (სჩვენებს ქაღალდს) აი მამაო, ეს ხომ თქვენი ეკლესიის ბეჭედი. ესეც ხომ თქვენი ხელმოწერილია.

გამომძ. ჩეთან?

გლეხი დიახ თქვენთან.

მღვდ. (შეხედავს მწერალს გაოცებით) ეს ხომ ის ქაღალდებია, რომელზედაც მე დამასმევით და ხელი მომწერიეთ. ამ ქაღალდებში, უნდა ეწეროს ბატონო, რომ ბაბალე უნათლო შვილის ქვრივი, ღარიბია... (მწერალს) თქვენ ასე წამიკითხეთ და უნათლო შვილები რომ ღარიბებია, ამას მთელი სოფელი დაამოწმებს. (გამომძიებელი შეხედავს მწერალს).

გამომძ. აბა, რა გნებავთ, სთქვით.

I გლეხი ჩვენ ბატონო ხალხმა გამოგვაგზავნა მწერლის საჩივრელად.

გამომძ. ეგ ჩემი საქმე არ არის გადით.

II გლეხი როგორ არ არის, ბატონო, თქვენი საქმე, თქვენ უნდა გამოიძიოთ.

გამომძ. (შეჰუიარებს) გადით, სანამ ვაგამათრახებდეთ. (გლეხები გადაიან) (მწერალს) დაუძახეთ შემოვიდეთ.

მწერ. როგორ, მე წაგიკითხეთ... მე დაგასმენით ბეჭედი. მამაო, როგორ გეკადრებათ მღვდელს, ნაკურთხ კაცს ასეთი ცილის წამება.

მწერ. (მივა კარებთან) მამასახლისო, შემოაყვანე უნათლო შვილები. მღვდელსა სთხოვე მობძანდეს.

VII

იგინივე მღვდელი მამასახლისის, ბაბალე, სოფონა ოქრუა

ათან. (მწერალს) ო-ო, მოლაალატე, მონუცებული კაცი, დამღუპე!?

მწერადის მღვდელი, კეთილსინდისიერი, მამასახლისი, ბაბალე, სოფონა და ოქრუა, მწიწებით უკარგუნ თავს გამომძიებელს, გამომძიებელი წამოადგება და მღვდელს ხელს ჩამოართმევს მღვდელი დაჟდება სსეები ფეხზე დგანან)

მწერ. (გაგვირგებით) მამაო, რას ბრძაებთ? (იღებს ქაღალდს და აძლევს გამომძიებელს) აი ინებეთ მოწმობა, იმ დღეს, რა დღესაც ეგ ყალბი მოწმობები შეუდგენიათ, იმ დღეს მე მაზრის სასამართლოში ვიყავი. აი მაზრის უმფროსის ხელ მოწერილი მოწმობა.

გამომძ. Батюшка, საქმე ძალიან სერიოზულია.

გამომძ. (მწმობას უყურებს) ესლა რას იტყვით მამაო? რათ სდებთ ღეუილა ბრალს მწერალს?

ათან. რა საქმე ბატონო, არაფერი არ ვიცი.

გამომძ. თქვენ გდებენ ბრალს ორი ყალბი მოწმობის გაკეთებაში. პირველი: თქვენ მივიციათ მოწმობა ოქრუა უნათლო შვილისათვის, რომ ქვრივ ბაბალეს ოქრუას გარდა შვილი სხვა არა ყავს. ამ მოწმობით გაუნთავისუფლებიათ ოქრუა უნათლო შვილი სალდათობიდან. ესლა მისულა ხმა მთავრობამდინ, რომ ეს მოწმობები ყალბია უნათლო შვილის ქვრივს ჰყავს ორი შვილი სოფონა და ოქრუა თქვენ კი მოწმობა მივიციათ

მღვდ. (შეწუხებული) არა მე და ჩემმა ღმერთმა, მე არ მიმეცეს ეს, მოწმობა და არც რამე ვიცოდე ამისი... გეფიცებით ღმერთს სარწმუნოებას, ჯვარს, სახარებას... მწერალმა სომატყუა, სიყალბე ჩამადენია... მე ერთი უსწავლელი მღვდელი ვარ... დამიბარა უნათლო შვილის ოჯახში... სიღარიბის მოწმობაო, მეც დაუჯერე... დამნაშავე არა ვარ.

გამომძ. „ფიცი მწამს—ბოლო მაკვირ“

ვებსა. ხომ იცით მამაო ანლაზა. (მღვდელი შეწუხებული და ეტემა სკამზე)

მღვლ. ღმერთო, თურმე ყველაფერი მოხერხდება ქვეყანაზე.

გამომძ. ქვრივი ბანალე უნათლოშვილის (წარსდება გამოშობების წინ ბაბაღე).

გ. მომძ. სოფონა გერია შენი?

ბაბ. (გახედავს იბნევა) სოფონა... გერაა ..

გამომძ. სოფონა გერია თუ შვილი?

ბაბ. სულს ვერ წავიწყებდ, სოფონა გერი კი არა ჩემი უფროსი ვაჟიშვილია.

გამომძ. თუ კი შვილია და არა გერი, მაშ როგორღა განაცხადე თხოვნაში გერიაო. როგორ წარადგინე მოწმობა ამის დასამტკიცებლად?

ბაბ. (ტირიფით) ერთი საცოდავი ქვრივი ვარ. საცოდავმა გაქირვებით შვილები გამოვწარდე. მეტი რა დამიშავებია... რას მგონიან ღმერთო... ხელმწიფეს ყველაზე უწინ შე ვაძლევ ხარჯს.. ბატონო შემობრალეთ, ნუ დამიღუბავთ ოქრუას.

გამომძ. კარგი, გაჩუმდი... იქით... (გაშეკითხავს). სოფონა და ოქრუა უნათლოშვილები, (სოფონა და ოქრუა წარსდება). თქვენ რაღას იტყვიან? მოწმობა ვინ მოგვათ, მღვდელმა?

სოფ. (უაფხანით) ხო. ათანასემ მოგვცა... მწერალი... მწერალი იქ არ ბრძანდებოდა.

ათან. (ადგილიდან). შეგინდოს შვილო ღმერთმა.

ოქრუა (სმა მადლა გულ-მოსუღი) ბატონო, ტყუილია... სულ, სულ მოსე მწერალის ბრალია... იმან დაგვღუბა ჩვენც, მამა ათანასეც... იმან მოიტყუა. იმან გაგვაყიდინა უღელი ხარი. შეაცდინა სინდისიერი მოწამე და ყველაყაი. მაგან (მისჩერება მწერალს) მაგ ღვთის პირიდან გადავარდნილმა, ჩიქიცია ჩვენი სისხლი.

გამომძ. ბევრს ნუ ყვრი, აქ მინდორი არ არის, თორემ ეხლავე გავამათრახებინებ შენ თავს სტრაჟნიკებს. წადით. (ოქრუა და გგორღზე მიდგება. წამოადგება მამასახლისი და კეთილსინდისიერი) თქვენ რის იტყვიან? რამდენი იჯობეო ფული.

მამასახ. არა, ბატონო ჩვენ არაფერი არ

გვიჯობინა: მოწმობები თითონ ათანასე მღვდელმა შეადგინა სიტყვიერათ და მერე სოფონას დააწერია, მოსე მწერალი სულაც არ ყოფილა ამ დროს ჩვენთან და არც რამე გუგია ამ საქმისა: ჩვენ მღვდლის ბეჭედი რომ დევინახეთ მოწმობებზე, სვენი ბეჭედიც იმიტომ დაუსვით.

გამომძ (მღვდელს) მამასახლისიც ამესამბობს მამაო! რათ სდებთ ბრალს უდანაშაულო ადამიანს? (ხელს აშვერს მწერალსკენ)

ათან. (ადგილიდან) თქვენ როგორც გინდათ ისე იფიქრეთ (მადლა აისხედავს) ღმერთმა იცოდეს... ის უფრო კარგად გამოიძიებს ამ საქმეს... იმ სოფელს გაირჩევა მაგ საქმე... იქ გაირჩევა მღყუან მართალი. ამ ქვეყნად ყველაფერი ტყუილია... (ნაშანი).

გამომძ (დიდხანს სწებს. შემდეგ მიუჩნდება ბრალდებულთ) შეგიძლიათ იშოვნოთ ორას-ორასი თუმანი თავდები?

ათან არა, მე არ შემიძლია,

ბაბა. ორასი თუმანი ვინ მომცა გაქირვებულ ქვრივს.

გამომძ. რადგანაც თავდებს ვერ იშოვით დღესვე უნდა გაგზავნოთ ციხეში.

ათან. გაგზავნენ?.. იქ შმანიც გამართლებით სიმართლე არ ოაიკარგება... ღმერთი ოწმალეა.

გამომძ. Моисей Ивановичь, позавите стражниковъ! (შეჰოდას ჩაფრები და გაუიღბ მღვდელი, ბაბაღე, სოფონა, ოქრუა, მამასახლისი და კეთილსინდისიერი)

გამომძ. (ქადაღებს ალაგებს) მგონი ყველაფერი დაწერე. ეხლა კი დროა წასვლისა. მშვიდობით, მოისცი ივანიჩი. (მწერალი კარებაშდინ მიაცილებს).

მწერ. (მარტო) მადლობა ღმერთს საქმე კარგად დაბოლოვდა... ვინ რას დამაკლებს... თუმცა... საწყილი ათანასე... ღმერთის იმედი აქვს... ის კი არ იცის, რომ ციხიბრს გააცილებენ... მე მოსე ვარ, მოსე მწერალი ყველა საქმე დგან ადვილად დავხსნი თავს. რას მიქვიან სინდისი, ზნეობა, პატიოსნება (ამოიღებს ზარტმანს), ეხლანდელ დროში ყველაფერი ეს არის, აი...

ფ ა რ დ ა .

გრ. საქარჩიქედელი
(დასასრული იქნება)

სოფლის კარამი

ფაფაზიანის „კლდე“ ქართულ სცენაზე ხახალხო ხახლში ქართ. სახ. წარმოდ. მმართვე. წრემ კვირას (8/1) ფაფაზიანის 4 მოქ. დრამა (თარგმ უ. კანისა) „კლდე“ წარმოადგინა. ამ შიესაში ავტორი გვისახავს სომეხთა სოფელს რომლის ერთი მცხოვრები მდიდარი მემამულე-მოყვან-შე გრიქორ-ადა ფანაჯიანი ღარიბ მცხოვრებთ სისხლის მწოვნებლად მოფლენებია: გლეხებს აძლევენ დიდ სარგებლიან სესხს, გაჭირვების მოკვლეში ჩაფლულთ სარგებლზე სარგებლს ერთი ათად უმატებს, მათგან ქრთამს და სანუქარებს თხოვლობს და უოველივეს ისე მლიქვნელურად, გაიძვერულად ახერხებს, რომ გლეხებს აწერებს, თქვენნი ერთგული, მშველელი და პატრონი ვართ. მსაქმეში მას დამხმარე და ხელის შემწეობებიც ჭყავს: სოფლის აბლაკტი ქანალ მარტიორის, მომრიგებელი მოსამართლე მათე იაკობის და სხ. ამ დროს სოფელში ჩამოდის ახლად კურს-დამთავრებული, იმავე სოფლის მცხოვრების სასა მანუკიანის შვილი, ალექსანდრე, რომელსაც იურიდიული განათლება მიუღია, ერთნაირი გრძობით გატაცებულა და უმარველეს საქმედ სოფელში მოქმედება, ღარიბი ხალხის შეგულა მიუხეჩვია—და რჩება კიდევ ხალხის მოარველად: გლეხები მასთან დიდის აღტაცებით დამხარების სათხოვნებლად მოდიან, ისიც მეგობრულად ებაება და იმ დროს, როდესაც თათქმის ვეგლა გლეხების შეგლეფელად გრიქორ-ადა აღმოჩნდება, მიუღვებათ იმისა, რომ ალექსანდრეს მისი ქალი თერეზა უყვარს, მის წინააღმდეგ ბრძოლას გადასწავს. გრიქორ აღას უოველგვარ სიბოროტეს ალექსანდრე თერეზასაც უამბობს, მასში ღარიბთადში კეთილმეყოფლობის გრძობას აღძრავს, მაგრამ ქალი იმდენად სუსტი ჩნდება, რომ დიდი სულეორო განდის შემდეგ პატრიარქის მხარე ბოროტი მამისკენა ჭხრის და ალექსანდრეს ამ გვარი ბრძოლისგელის დაცლასა სთხოვს. მაგრამ ალექსანდრე კლდედ ისახება: იგი ჭერ ადრევე თვით გრიქორ-ადას შესაფერ საღახმდავ სახელს უწოდებს და თავის მიზანს მტკიცედ იცავს. ამავე დროს მისი ოჯახი ტრადიციის ფარგლებში ექცევა: თურქე ალექსანდრეს აღსაზრდელად ალექსანდრეს მამას ვალები თვით გრიქორ-ადასგან აუღია და

ვეგლა მამული მასთან დაუგინავებია. აი საშიშროება, რომელშიც მთელი ოჯახი ჩაფარდნილა, რადგან ალექსანდრეს ბრძოლის გამო მას უოველივე ხელიდან გამოეცლება. ალექსანდრე მანც არ დრკება: თერეზას ცოლობის უარს ეუბნება, თავის აზრების გასათვრთველად სოფლის მამასახლისს, გულ-კეთილ ჩრმაკას იხმარებს და აღგენს საზოტესტო წერილს. ერთსა და იმავე დროს გლეხების საქმე სასამართლოში გადაქვს და ბედნიერებას უქადის. მაგრამ გრიქორ-ადაც სასტკი მებრძოლი ჩნდება. ცაღმხრე სხვა და სხვაჭრიკებით, მოტუილებით, ვექსელის დახვეთ გლეხებს აკმეოფილებს,—შეორე მხრივ-კი ალექსანდრეს მთავრობასთან რეველიციონერად დასმენს, და იმ დროს, როდესაც მოტუილებული გლეხები ალქსანდრეს უცხადებენ შენი დამხარება, აღარ გვიანდა, გრიქორ-ადასთან უოველგვარი ანგარიში გავსწოროთ, რომ დესაც ალექსანდრე ამით უხერხულ მდგომარეობაში, ჩავარდება და გლეხების დაუფიქრებლობას ჭავრზე მოჭყავს, ოთახში განხდება პოლიცია, რომელიც ბრძანების მიხედვით ალექსანდრეს პატიმრებს. ალექსანდრე შიშს არ ეძლევა. მამასახლისს მანც საზოტესტო წერილს გადასცემს და დამტკერლებს კმორჩილებს.

ამით თავდება შიესა, რომლის თემა, რომ გორც ჭხედავთ, საინტერესოა. აქ ჭხედათ დღევანდელი სოფლის გაჭირვების, ჭხედავთ უგონო გლეხებს, მათ შეგლეფლებს და ჭაბუკსაც, რომელიც მთელი თავისი ძალდობით, ერთნაირი იდეალების, დანაგრულებისა და უბედურების პატრონია

ვერვიტუვით, შავსა უნაკლოა, რადგან, ზოგიერთი მცირე ნაკლებულებათა გარდა, თვით დასვენა უფერულად მოგვჩინა. ჩვენის აზრით ავტორი და შიესა უფრო მეტს მოიკებდა თუ გამარჯვებულნი ალქსანდრე და მისი სიმპატური იდეები გამოიღვინებენ. ვინ არ იცის, რომ უოველგვარი ბოროტება დღეს ნელა ნელა იფხვრება და დადგება ის დრო, როდესაც გრიქორ-ადასთან სასაზრდობი იყოს, საუსებით დაჰკარგვენ, მოისპობიან, ასრულების მხრივ სცენის მოყვარებმა შესაფერისად ვერ შესრულეს. ვალებად მოგვჩინა აღმასრულებელთა უმრავლესობის კილო, ზოგის ქართულ-ტეტიური, ზოგისა მსახური. თარგმია, მამასადავე უნდა ელამარგანთ ისევე სადაც,

სწორედ, როგორც სხვა ენიდგან თარგმნილება აღვეყენე უფრო მეტ უფერულობას გლეხთა რაღების აღმსრულებლები ქქმნიდენ... მეტად მშვენიერი, დაკვირვებულ და მისაწინა იყო ბ-ნი ჯგედვეან. გრიგორ-აღას რაღში ს. ზეზანაფი (აღუქსანდრე) ზოგჯერ მეტად დაკვირვებული იყო, ხოლო იმ დროს, რაღესაც სხვები მოქმედებდენ და დაზარალებდენ მეტად უმოქმედობას იჩენდა და საჭირო აღდგომ გულ-ცივად ატარებდა. ახალგაზრდა სტენის? მოუყარე ქალი ვ. მარგველაშვილი (თერესა) სიმპატიური იყო ქქმნდა ნაკლი; (რაღის უტოდინარობა დასხვს) მატრამ სხვებს უყვალს სჯობდა. წარმოდგენა გვიან დაიწყო და ძალიან გვიან გათავდა.

მიშო.

სახალხო თეატრის ისტორია

1900 წ. ენკენისთვიდ-ნ მისამდის სექციის წევრებად ითვლებოდნენ: მ. ი. დემურია, გ. მ. ლასხიშვილი, იოს. ქუთათელაძე, ივ. რატიშვილი, კ. ნ. შათირიშვილი, ანანიაშვილი, და ირ. ხოსიტაშვილი-ევდოშვილი. ამ სეზონში გამართა 28 წარმოდგენა. ამ წარმოდგენებში ახალი ზივის იყო 9, დანარჩენი ნათამაშევი, აქედან ობაშვილების დამტველ საზოგადოების თხოვნით 2 წარმოდგენა გამართა ავლანდში. ამ წარმოდგენებში მონაწილეობდენ ქ-ნი: გამტველიძე, აფსაშიშვილი, თამარა ქუხუაშვილი ვარშაძე, გავლიევი, ჯავახიშვილი, ციციშვილი, მდივანი, საფაროვ აბაშიძის ელ. ჩერქეზიშვილი სოფიო ღომარისა, კუნდელის ასული, ხერხეულიძე, ტატიშვილი, ანდრეიკაშვილი, აბაშიძე, ნებერიძე, მიქელაძე, კიკნაძე და ჩიჯავაძე. ბ-ნი ანანიაშვილი, გელიკურაშვილი, ვ. ურუშაძე, ზავლიაშვილი, ირ. ევდოშვილი, ციმაკურიძე, კახური, დ. ნახუცრიშვილი, შიშა შველიძე, ნ. გოცინაძე, გ. ჯაბაური, ა. ავლანტაშვილი სწინდელ მისხიობა) ჯუდელი, მირიანაფი, ი. ბერიძე, სვიმონიძე, ხოსროვეი, ოსიკო ბართაშვილი, ხერხეულიძე, ჯაბადანი, მგალობლიშვილი, ავლიანი, ჯიდაური, ილ. ზურაბიშვილი, მ. თუშქელაშვილი, ლ. ცაგარელი, ვახანაძე, იმედაშვილი, გულისაშვილი, სუსიშვილი და სხ. ამ წარმოდგენებში რეჟისორობდენ: კ. შათირიშვი-

ლი, ნ. ავლიშვილი და სოფ. მგალობლიშვილი. სექციამ ამ სეზონში დიდი ეურადღება მიაქცია საკონცერტო განუთფილებასაც. გამართა სულ 5 კონცერტი. კონცერტებში მონაწილეობდენ: ქართველიშვილი, ამირაჯობი, გაბუნია-ცაგარელი, ოსიკო ბართაშვილი, ადამიძე, ორბელიანი, კარგარეთელი, ოსიკო ბართაშვილი, ადამიძე, მესხი ვახანაძე, მგალობლიშვილი, ურუშაძე, დათაშვილი და ფაღიაშვილის ხორა. სუფლიორად იყო სხმ. ტორაშვილი, ეშველებოდა მ. თუშქელაშვილი; სტენარიუსად სანდრო ავლანტაშვილი. დაესწრო 7,470 ქალი და კაცი. ბილეთების ფასით და კერძო შემოწირულებით სულ შემოვიდა 522 მ. 40 კ. ხარჯი—642 მ. და 78 კ. ხარჯი 120 მ. და 38 კ. რამდენი უკეთი ნაწილი გაისტუმრა კენო ქობულაშვილმა, მეორე—ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ. გ. ჯაბაური

მოწოდებული ნაღველა!..

ქრისტე შობა—წავიდა, ეს ახალი წლის დღეც—მიდის, ღამდება, მაგრამ გულს მაინც სევდის ლოდი აწევს და არსით სიამის შუქს არ უშვებს!..

კვლავ (წინად) თუ ეს შობა-ახალ წელიწადი ცოტათი მაინც ჩამოაშუქებდა ხოლო მე ტანჯულ გულში, დღეს ველარ ახწევს, სრულიად დაშორდა, უფსკრულში ვგრძნობ თავს და საცალა ზედაპირზე სევდის ღრუბელში გახვეულს შობა-ახალ წელიწადს.

ცხოვრება აზვირთებულა, მიამტვრევს არე-მარეს და ვის საღ უქადის გარყვას—ყოფნა არ ყოფნის ბედის გადაწვევტას—ეს არაფერ უწყის, ..

თითქო მფრთონავ ზღვაში გემზედა ვგრძნობ თავს, ავი ხელით დანგრეულზე, და თანდათან უფსკრულისკენ მიმაქანებს...

შიგ თვით ვაქცევთ ავი ხელით საერობო ცხოვრების გემს; გარედან-კი მეზღვაურნი თავს აკლავენ, ხსნას ღამობენ.

დღეს სოფელი ისეა არეულ-დარეული, თხლე გადმობრუნებული და ფიტ-გამოღეული, რომ ძალიან პატრონს ველარა სცნობს და ჰგლეჯენ ერთმანეთს.

შველა-თანაგრძნობის მაგიერ, პირიქით,

ხელს უცარავთ ჩვენს მსიერე რიცხოვან მეზღვაურებს (გმირ-მუშაკ-მოღვაწეებს), ვანგრევთ და ვსპობთ ერთმანეთს ავი ხელითა და ცარცვა-ვლეჯით; ამით ვაზიანებთ, ვანრევთ საერობო ცხოვრების გემს და მივანებთ უფსკრულისკენ,—აი ეს უხუთავს აღამიანს სულს.

აი ამ მრუდი გზით დღეს სოფლად ბევრი ვირია ბარდანიო დოვლიო აკიდებული, ცხვირპირ მოთხუპნული პოლიციელი და „მოსე მწერლები“, მაგრამ როდი გრძნობენ, რომ საერთოდ-კი გვედუბება უფსკრულისკენ საერობო გემი, საერთოდ ჩავსდევთ თან და ვინტქებით, ხოლო თუ ეს ვინმემ გაუქვიყნაო, ვინ იცის, რომელ ემბასში მონათლონ და ცმბირს ამოუყოფენ თავა!..

დღეს მოგზაური ხშირად ნახავს, რომ „დათვი ბოსტანს ყარაულობს“. გამრავლდენ სოფელში „მოსე მწერლები“, და „ნინო შვილია კი არსადაა!

გაპარტახდა სოფელი და სისხლით დაცლილს გლოვის ძაძის ქვეშ ეხუთება სული.

დღეს სოფელი სეტყვისაგან გავერ ნებულ-ჩარევილსა და დათვისაგან ჩაბეჭვილ ბოსტანსა ჰგავს!

ვინ მოსთვლის დაწვრილებით მის ქირსა და ვარამს!

დღეს სოფელი უწყალოდ გადაჩეხილ ტყესა და ორბის ნაბუღარზე ყვავ ყორნის ჩარფუზანასა წგავს!

იფიტება გმირთა საეანე, იტრემლება ამირანი!.. *)

კატკეთუა გლეხი დ. სოლოლაშვილი.

*) აქვე ვთავსებთ ამავე გლეხის კერძო წერილს, რომელაც ნათლად გვისურათებს დღევანდელი გლეხის სულიერ განწყობილებას: „ძმაო რ—ბ! გიგზავნი ამ წერილს დასაბეჭდათ, არ კი გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს, რადგან წერილიდან უკვე შემაჩნევთ, რომ ჩემში სულ დაუარგავს ადგილი შობა ახალწელიწადს: ვხედამ სიტყვაა და საქმე არა. ახალი სრულიადაც არა შემოაქვს-რა ცხოვრებაში, უფრო და უფრო ძველ ბანძულავებში გვხვებს და კეთილს არას მოგვიტანს ხოლმე. ჩვენთვის ვერა ვგრძნობ ქრისტეშობას და ახალ წელს. იქნება ჩვენთვისაც გათენდეს, მაგრამ ჩვენ-კი ვერ შევესწროთ, და ნეტავი ხამარვში მაინც ჩამოვგვახონ, „მიტო,“



ხაშურის დრამატული წრის წლიური

კრება შესდგა იანვრის 8 ერთმა ჯგუფმა ტამბეობას უსუფედურა. კრებას ვვიან მოწვევა და ხშირად არა სასურველი—მოძველებული ვიესების დადგმა. დაწყო შესლა—შემოსლა. ერთმა ჯგუფმა დასტოვა კრების დარბაზი. გარდა ამისა თბილისის ერთ გახეთში წრის მიმართ სასურველურა წერილიც-კი იყო მოთავსებული. უთანხმობის მოსასწამად მეორე კრება შესდგა გასულ კვირას, იანვ. 15 ამ კრებაზე წრის თავმჯდომარემ კ. ი. ძეგლაძემ მოსაუფედურებს საბუთიანი პასუხი გასცა, რითაც კრების დიდი უმრავლესობა კმაყოფილი დარჩა. კამათი გამთი იქნა გამკეთების წევრთა არჩევნებამც. ერთი მუარეს შეეჭასა ორი მიმდინარეობა: ორივეს თავთავისი კნდაიტატები სურდა გაეყვანა. ასეთი დაცლვაკების გამო სტენის მოყვარეთა წარმომადგენლებმა ბ. ნიკო სისხარულიძემ და მასე კვალაშვილმა სასტიკი წინაღმდეგობა განაცხხადეს: თუკრი საკულტურო და საუფედულო საქმეა, მარტიათა გარეშე, აქ საჭიროა შეთანხმებული მუშაობ და არა განხეთქილება—დანაწილება. ხოლო თუ ჩვენს—სტენის მოყვარეთა—არც არ შეიწინარებთ შეთანხმებული მუშაობის შესახებ წრეს ჩამოფორდებითო. ამ განცხადებაში გავლენა იქონია, რის გამოც კრებამ შეკრული გამეობა ამოიჩნია: ორივე ჯგუფის მხრით სამ-სამი კაცი, ხოლო გამგეობის თავმჯდომარედ ორივე ჯგუფმა იანვ. 8. ძეგლაძე (რომელიც ეს მეოთხედ არის არჩეული და მუდამ მუყაითად მუშაობს ადგილობრივ დრამ საქმის საკეთილდღეობთ) გამგეობის წევრნი: ნოე კვლიალო იაკ. ტყეშელაძე, ბ-ნი ვაგუა ნიკ. იმნაიშვილი, თეიმ. ჭუმბურიძე და გურ. საბუაშვილი. ამით კანდიდატებად: თ. მეტრეველი, ალ. ორჯონიკიძე, ბ. ვაჭკიშვილი და ბ-ნი მეჭაძე სარევილო კომისია: ვლ. ჩიქოვანი, ვარ. ნინიძე და ბ-ნი ვახნაველი.

ფრიად ხასიაზოვნოა ასე ურთი-ურთის შეწინარება და შეთანხმებული გამგეობის არჩევა. გუსურგებთ სრულს წარმატებას. **შორეული**

წვრილი აბები

◆ **ახალი პიესები დასწავას** 1) ჯაფარ ჩაქველმა „მადლი ნი საქართველო“, 4 მოქ. ისტორიული შინაარსისა, პიესაში, სხვათა შორის, გამოყვანილია ქართლის დედოფალი დარეჯანი. ვანტანგი—ქართლის ტანტის მემკვიდრე და სხ. პიესა ადვილად დასადგმელია. 2) არფანტულაიამ—„ქართული სისხლი“, ისტ. პიესა 1 მოქ. ავტორს ამ პიესის სიუჟეტი აულია ბ-ნ დ. ჭიბჭიშვილის ისტორ. ეტიუდან—„ორი ძმა“. პიესაში არც ერთი ქალი არ არის გამოყვანილი და განსაკუთრებით სამოწაფეო წარმოდგენებისთვისაა გამოსადგეი, 3) სტუდ. გედი არსენაშვილმა „ბოროტი სრული“. 3) მოქ. თანამედროვე სოფლის ცხოვრებიდან. გვისურათებს გლენთა დუბჭირ ცხოვრებას. 4) მივიღეთ აგრეთვე ილ. მთაწვლის „სიკვიდილის ღმერთი“, დრამატული პოემა-ზღაპარი 4 მოქ. სიმბოლიური. შინაარსისა, ახალ ყაიდაზე დაწერილი, შერეული ლექსით.

◆ **იასე რაზმელმა დასწავა** ისტორიული პოემა „მეფის ასული ანუ ზრესილის ომი“. პოემის შინაარსი ადებულოა იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ცხოვრებიდან, ხალხის გადმოცემებზე დამყარებული, მოკლე ხანში დავებქდავთ.

◆ **ღმეს „ახ. კლ.“** ქართ. დრამ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება „ქრისტიანე“. დასაწყისი შუადღისას—12 ს.

◆ **ლორდ ბაიკონის** საუკეთესო დრამატული პოემა „მანფრედ“, ინგლისურით სთაგმნა ჩვენმა თანამშრომელმა ივრიკო მ-ძემ. ამ თარგმანის I-ლი მოქ. უკვე მივიღეთ. პოემის ბექდვას მოკლე ხანში შევუდგებით ჩვენს კურნალში.

◆ **შოთა რუსთველის** გარდაცვალების დროს შესახებ ჩვენს დაუძალავს მშრომელს, ისტორ. მ. ჯანაშვილს ძველ საეკლესიო ხელნაწერ წიგნში ნამცვილი ცნობა ამოუკითხავს ჩვენი დიდებული მგოსნი გარდაცვლილი 1216 წ. იერუსალიმს. ეს ხელნაწერი მ. ჯანაშვილისთვის გარდაუტოა კახელ მღვდელს მ. დიმიტრი დეკანოზიშვილს, ხოლო მ. ჯანაშვილს საეკლესიო მუზეუმში დაუტავს, ახლა მაინც დასცხრებთან ურწმუნო თომანი, ვითომც შოთა თამარის ხანას არ ეკუთვნოდეს.

◆ **თბილისში გამომვიდა** კვირეული ჟურნალი „პირველი ნაბიჯი“, მარქსისტული გამართლებებისა როგორც ეტყობა ეს გამოცემა ჩვენებურ დასილთა ერთი უგმამყოფილო ჯგუფის უნდა იყოს. ჟურნალს, სხვათა შორის, განუზრახავა ფრაქციონულ განხეთქილების მიზეზთა გაოკვევა და ყველა მიმდინარეობათა შეთანხმება.

◆ **კობროკრადის ქართველთა** მრველი დაფუძნებულა და ანდრეეს ტაძარში წირვა ლოცვაც გად უხდია ქართულ ენაზე უწირავს მდ. ჩიჯავაძეს, უგალობნია ქართველ სტუდენტთა გუნდს. დასწრებიან. დგილობრივი ქართველობა, რომლის დეპუტაციასაც

პიტერიმ მიტროპოლიტოსთვის მადლობა გადაუხდია. ◆ **კიკიონ ეპისკოპოსს** ნება არ მისცეს სამშობლოში დაბრუნებისა.

◆ **ანტონ ეპისკოპოსი** მიიწვიეს სინოდის კომისიაში, რომელმაც უნდა გამოსძებნოს სამღვდელმთავრის უზრუნველ-საყოფელი სახსარი.

◆ **ა. მ. ხოჭბარის**, ბაქოს დრამ. წრის გამგეობის თავმჯდომარეს, ცნობილ მრეწველსა და ქველმოქმედს, რომელიც სპარსეთში დიდ სამრეწველო საქმეებს აწარმოებს, სპარსეთის შაჰმა უბოძა ელიმისა და მზელომის პირველი ხარისხის ჯილდოები, ლურჯ ლენტზე სატარებელი.

◆ **კავკასიის ახალი ბანკის** წესდება დნტიკებულ იქნა

◆ **ენორობა** საქართველოს უმეტეს დაბა-ქალაქებში წარმოდგენა-საღამოების გამართვით აღინიშნა.

◆ **ნეზლობინის** თეატრი მოსკოვში იანვრის 14 დღისით დაიწვა. ცეცხლი გაჩნდა ფარდის მხრით, სწრაფად გაიზარდა, და შთანთქა დეკორაციები, ერთ საათში საძირკვლამდე განადგურა სცენა, დარბაზის თითქმის 5 ხეწარა და ფოიე, ჭერი მთლად ჩამოწვა. ზარალი 300,000 მან. უდრის. თეატრი და ავეჯი დაზღვეული ყოფილა.

◆ **სომეხთა** დრამ საზ-ას განუზრახავს თბილისში საკუთარი თეატრის აშენება.

◆ **ებრაელთა** სახალხო თეატრის სცენის მოყვარე ქალს გ. მ. კოვან-ავგუსტოსის ებრაელთა დრამ. წრემ სახალხო სახლში იანვ. 14 ათის წლის მოღვაწეობის საიუბლეო წარმოდგენა გაუმართა, მიართვეს თაიგულები, ჯილდოები, ხოლო მრავლად დამსწრე საზ-ბამ გაზა-ტაშით. დააჯილდოვა. წრემ თვის სიტყვაში მადლობა გადაუხადა, როგორც მუყაითს. უნ-გაროსა და ებრაელთა სახალხო სცენის გულწრფელ მოყვარულ მუშკს.

„თეატრი და ცხოვრების“

◆ **ფონდის სასარგებლოდ** საბაკოვიდან. „საღამო რედაქციას! უფრანდის სასარგებლოთ გიგზანით ახალწლის მიჯიებებისათვის ამხანაგთა შორის შეკრებიდს 14 მანეთს სტუდ. ვლ. ძალოიანი.

— **ნადეედა ლაზ.** ტურიშვილი-მურუსიძისაგან (თბილისი) 7 მ.

— **ვასო აბდალაძისაგან** (მეწმი. ეს მეორედ, წინად 5 მან.) 2 მ.

— **კონსტ. ლხინაძისაგან** (კავკავი) 2 მ.

— **ექიმ მის. სამ. არჯევანიძისაგან** (კავკას. მოშქმ. ღაშქარი) 4 მ.

— **პოდპრ. კირილე გრასტ. მაჭარაძისაგან** (მოშქმედი ღაშქარი, — ეს მეორედ, წინად 20 მან.) 15 მან.

◆ **შემოწინგელოთ გულისად მადლობას გუძღვნიოთ.**

V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V წ.

სათეატრო-სალიტერატურა, სამახტვრო წლიური ხელის მოწერა, ნი მიიღებენ
კვირეული შუკნალი მრ პრ იას

თეატრი და სსოპრები

(წელიწადი მეხუთე)
გამოვა სრული პროგრამით,

აკაკის „ნაკვეთები და ბრძნული სი-
ბრძნეობა“ ავტორის სურათებით,
ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჭ. ლომთათიძის „რჩეული
სურათები“
ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

შუკნალი პარტიამა გარეშა, პროგრამული მიმართულებასა

უკან აღნიშნულ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზრდა ნ
ჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

შუკნალის ფასი ორგანო პრემიით წელიწადში ღირს 8 მან. ნახევარის წლით.
4 მან. 50 კაპ. თითო ნომერი ეგვიპტის 15 კაპ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად
შეიძლება: ხელის მოწერის ღირს 3 მ., 1-მისამდე—3 მ. 1-ელ ენკენისთვემდე 2
ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპნის“ საბავშვო კანტორაში (მადათვის კუნ-
ძული, № 1, ვორანცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მოწერით ფული უნდა
გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлис, ред. „Театри да Цховиერა“ Иосиф Име-
ридзе რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაზიშვილისა



**ქართ. საისტ.-საეთნოგრ. საზ-ისა და ქარ-
თველ ხელოვანთა სიზ-ის თაოსნობით**
„დიდების ტაძარი“ (გოლაგინის პრესბუქტუე)
ძველ ქართულ საეკლესიო ფრესკების
გამოყვანა გაილა იანვრის 8, ღიაა დილის 10 საათიდა
შუადღის 4 ს-დე შესვლის ფასი—50კ. მოწაფე —25. კ.

ახალი კლუბი კვირას 22 იან-
ვარს დღით
ქართ. დრამ. საზ-ის
დასის მიერ ირეთელის
დასაწყ. საღ. 12 ს. ფასი: 1-70 კ. - 30 კ-დე.
რეჟისორი * * * აღმინისტრ. დრამ. საზ-ბისა

**ხარჭუხის საზო-
გადო კლუბი**
(მიხეილის პრესბუქტუე, № 163)

ერთი კვირას პროგრამა იანვრის 22-29
მრ შაბათი—სინემატოგ. სიმებ. ორკ.
სამშაბათი—სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.
ოთხშაბათი—ქართული წარმოდგენა,
ხუთშაბათი—ოპერეტა რუსულ ვნახე.
პარასკევი—„არშინ შალ-აღან“, ქართულად
შაბათი—რუსული წარმოდგენა
კვირა—სიმებიანი ორკესტრი
შესახველელი ფასი: ქალები და სტუ-
დენტები—25 კ. მამაკაცი 50 კ.
დასაწყისი: წარმოდგენა—კონცერტებისა
საღ. 8 ნახ. ს.—სინემატოგრაფი—9 ს.

ახალი კლუბი კვირის პრ
იანვრის 22-29
კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კ.
ორშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.
სამშაბათი—საოჯახო საღამო
ოთხშაბ.—სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.
ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.
პარასკევი.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე
შაბ.—საოჯახო საღამო
კვირა—რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.
დახაშვის: კონცერტებისა საღამ. 9 სათ.
წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 სა.
შშსახ. ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ.

